პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН КОМИТЕТА ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ ГССР И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

19 ოქტომბერი, ხუთშაბათი, 1989 წ.
№ 201 (10 120) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან





ახლა ამ საწარმოსა და მისი ჯანმრთელობის ობიექტების ამბავს მთელი ქვეყანა იცნობს. გაზეთმა „პრავდამ" 16 ოქტომბერს საკმაოდ ვრცელი წერილი მიუძღვნა გაერთიანება „საქქალაღდმრეწვის" შრომით კოლექტივში სპორტულ-გამაჯანსაღებელ მუშაობას. ამ ბოლო ხანებში ზუგდიდში „კომბინატის დასახლებაში" გაჩნდნენ თანამედროვე მოთხოვნების შესაფერისი სპორტული ბაზები. არა მარტო კომბინატის, ქალაქის და ახლომდებარე სოფლების მოსახლეობასაც უწევს მომსახურებას სამსართულიანი სპორტის სასახლე საცურაო აუზით (რომელსაც აქვს ორი საჭყუმპალაო), სპორტული დარბაზით, რინგით... იქვეა ჩოგბურთის კორტები, ღია მოედნები, ჯანმრთელობის ზონაში შედის აგრეთვე რეაბილიტაციის ცენტრი. სპორტულ კომპლექსს ავსებს სტადიონი, შენდება ახალი საცურაო აუზი გათბობით, კომბინატს თავისი დასასვენებელი ბაზა აქვს ზღვის სანაპიროზე — ანაკლიაში.

— ყველაფერი ეს ჩვენი გაერთიანების მშრომელთა და მოსახლეობის კეთილდღეობას ემსახურება. საწარმომ მიიღო დიდი ეკონომიკური ეფექტი, მარტო გასულ წელს საავადმყოფოს ფურცლების შემცირებამ ერთი მილიონი მანეთი დანაზოგი მოგვცა, — ამბობს გაერთიანების გენერალური დირექტორი ო. ფაცაცია. „პრავდაში" გამოქვეყნებულ წერილსაც ეს სათაური აქვს წამძღვარებული — „როგორ დავზოგოთ მილიონი?"





სეოკ-ის დამფუძნებელ კონფერენციაზე...

## გზა აღიარებისაკენ

**ნიკოლოზ ცხაკაია — საწარმოო გაერთიანება „სამთო ქიმიის" გენერალური დირექტორი:**

პატივცემულო საზოგადოებავ! ქალბატონებო და ბატონებო!

ჭეშმარიტად შესანიშნავი ფრანგი მოღვაწე, ბარონი პიერ დე კუბერტენი ხაზგასმით აღნიშნავდა: — მთავარი ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვება კი არა, მონაწილეობაა.

არ ვიცი, რამდენად მოხერხებული და დამაჯერებელი იქნება პარალელი, რომელზედაც აქ მოგახსენებთ, მაგრამ მაინც ვიტყვი: მართალია მე, ისევე როგორც ამ დარბაზში მყოფთა უმრავლესობა, ოლიმპიური ჩემპიონი არა ვარ, მაგრამ სიამაყით შემიძლია განვაცხადო, რომ თავს, მომიტევეთ და, ოლიმპიადის ერთგვარ მონაწილედ ვთვლი. უფრო ზუსტად კი ეროვნული ოლიმპიური მოძრაობის აისის მომსწრედ და თანამონაწილედ.

მართლაც დიდ ეროვნულ საქმეს ეყრება დღეს საფუძველი ამ მშვენიერ სასახლეში, რომლის მასპინძლები, ჩვენი სახელოვანი მოჭადრაკენი ქალები, წარმომადგენლები სპორტის იმ სახეობისა, რომელმაც ჯერ ვერ ჰპოვა აღიარება ოლიმპიური თამაშების საკმაოდ მოზრდილ ნუსხაში. რამდენადაც ვიცი, მალე ალბათ ამ მხრივაც გადაიდგმება სასიკეთო ნაბიჯები. თუმცა ამ უძველესი და ბრძნული, ინტელექტუალური თამაშის წარმომადგენლებს მაინც აქვთ თავიანთი ოლიმპიადა — აი, ის, რომელშიაც ქართველ ქალებს სხვისი დახმარება არ სჭირდებათ.

მართალია, ხელბურთი, რომლის ფედერაციასაც მე ვუდგევარ სათავეში, ძალიან შორსაა ჭადრაკისაგან და არა მარტო, ასე ვთქვათ, წმინდა შინაარსობრივად, არამედ უმთავრესად თავისი მიღწევებითაც. კაცმა რომ თქვას, შეიძლება ვინმემ გაიკვირვოს კიდეც, ხელბურთი რა სახსენებელია, ჩვენმა „ქართველმა" ხომ უკვე დასტოვა უმაღლესი ლიგა და ახლა პირველ ლიგაში გამოდისო.

ქართულ ხელბურთს ადგილებზე რაიონებში, ქალაქებში ქომაგი და გულშემატკივარი უფრო სჭირდება. ხმლეთი მოედანია, მაგრამ მოვლა აკლია. უამრავი პედაგოგი, მწვრთნელი და შედეგი კი — ნაკლები.

ცნობილია და, როგორც მოხსენებაში ითქვა, საქართველოს სპორტსმენებმა ოლიმპიური თამაშების ოქროს მედლები სულ სპორტის 15 სახეობაში მოიპოვეს. მათ შორის ერთი სახეობა სწორედ ხელბურთია...

ისიც მინდა გაიხსენოთ, რომ ქართველი ხელბურთელები ქვეყნის პირველი ჩემპიონები იყვნენ. 1962 წელს საკავშირო თასიც მოიპოვეს. ჩვენი ოქროს გუნდის წევრთა უმრავლესობა იმხანად ქვეყნის ნაკრებში შედიოდა. მართლაცდა, აბა, რომელ ოლიმპიადას არ დაამშვენებდნენ ხელბურთის დიდოსტატები ჯემალ აბაიშვილი, ანზორ ექსეულიძე, იმედო ფხაკაძე, ლერი კარტოზია, თამაზ ანთაძე, ჯანო ბაგრატიონი, გარი მაჭავარიანი, ჯემალ ცერცვაძე, რომელთაც ჟურნალისტები, გახსოვთ ალბათ, ხელბურთის პაიჭაძეებს უწოდებდნენ. სამწუხაროდ, ოლიმპიური ხელბურთის დებიუტი მოგვიანებით, 1972 წელს შედგა მიუნხენის თამაშებზე. ეს რომ ადრე მომხდარიყო, ვინ იცის, რამდენი ოქროს მედალი შეგვეძლო მიგვემატებინა საქართველოს ოლიმპიელთა 28 ოქროს ჯილდოსათვის...

ახლახანს, 13 სექტემბერს, შეიქმნა საქართველოს ოლიმპიურ ჩემპიონთა კლუბი, რომლის პრეზიდენტად შესანიშნავი ქართველი ფალავანი დავით ციმაკურიძე აირჩიეს — პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი. კლუბის სხდომაზე მე არ ვყოფილვარ, მაგრამ სიხარულით შევიტყვე ჩვენი ოქროს ოლიმპიელის დავით გობეჯიშვილის გამოსვლის შესახებ, რომელსაც ჩინებულად აღუნიშნავს: „როდესაც ოლიმპიადის გამარჯვებულის ყველაზე მაღალ საფეხურზე დგახარ, შენი მიზეზით და შენს საპატივსაცემოდ შენი სახელმწიფოს ჰიმნს უკრავენ და მაღლა ნელ-ნელა მიიწევს შენივე სახელმწიფოს დროშა, უსაზღვრო სიხარულისა და სიამაყის გრძნობა გეუფლება ამ დროს. მაგრამ, აბა იგივე დროშა და იგივე ჰიმნი ჭეშმარიტად შენი მშობელი ქვეყნის, საქართველოსი რომ იყოს, მაშინ ხომ მეშვიდე ცას ეწევი სიხარულით. ამაზე დიდი ბედნიერება აბა რა უნდა იყოსო"...

მართლაც, შესანიშნავად უთქვამს დავით გობეჯიშვილს — ჩვენს ბეჭდაუდებელ ფალავანს. ამიტომ მე, რომ იტყვიან, ორი ხელით ვუჭერ მხარს საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის შექმნას. მზად ვარ პრაქტიკული ნაბიჯიც გადავდგა როგორც პირადად, ასევე ჩემი კოლექტივის, საწარმოო გაერთიანება „სამთო ქიმიის" მეშვეობით...

აქ სწორად აღინიშნა, რომ ოლიმპიური ჩემპიონი ვერ გაიზრდება და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ვერ იარსებებს, თუ არ იქნება მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

ქუთაისში ავაშენეთ უზარმაზარი სპორტული ბაზა, ორი სპორტული დარბაზი, ორი სპორტული საცურაო აუზი, დახურული ჩოგბურთის კორტები, ჩოგბურთის ორი ღია კორტი, სამსართულიანი შენობა სპორტის ყველა სახეობისათვის და ა. შ.

წყალტუბოში — საცურაო აუზი, სპორტდარბაზი, ღია მოედნები, კოლეჯები, ხელბურთის სპეციალური მოედანი, წელს აქვე შენდება ფეხბურთის სტადიონი.

ოზურგეთში — ავაშენეთ სპორტული დარბაზი. ურეკში ხელბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის ღია მოედნები, შენდება სპორტდარბაზი, გაისად ავაშენებთ საცურაო აუზს. ამბროლაურში შენდება ფეხბურთის სტადიონი, 1990 წელს ავაშენებთ ერთ სპორტდარბაზს, ერთიც აშენებულია.

თბილისში შენდება ხელბურთელთა სამსართულიანი შენობა და ა. შ.

დასასრულს, მე არ შემიძლია კვლავ არ გავიმეორო უკვე თქმული: საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნა იქნება დამოუკიდებელი საქართველოსათვის გადადგმული უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი. რად ეღირება დიდ ოლიმპიურ სტადიონებზე საქართველოს დროშის თუნდაც გაელვება.

ამისათვის, მერწმუნეთ, ყველაფერს გავაკეთებთ, თუ გნებავთ, ერთ გუნდს ოლიმპიადაზე ჩვენი ხარჯითაც გავაგზავნით... თუ ისინი ხელბურთელები იქნებიან.

### კალენდარში ცვლილებებია

**საქართველოს სპორტსახკომის მთავარ სპორტულ სამმართველოდან გვაცნობეს:**

ოქტომბრის თვის სპორტულ ღონისძიებათა კალენდარში, რომელიც „ლელოს" 1 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნდა, შეტანილია ცვლილებები. კერძოდ, გარდა ცხენოსნობისა, თანამედროვე ხუთჭიდისა და მშდ მრავალჭიდისა, შეჯიბრებები ნაცვლად ადრე გამოცხადებული თარიღებისა, ჩატარდება ნოემბერში. კონკრეტულ რიცხვებს დამატებით გაცნობებთ.

### მოსწავლეები — ტატამზე

ერთი პირველი, ამდენივე მეორე და სამი მესამე ადგილი დაიკავეს თბილისის პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების ჭიდაობის სპორტსკოლის ნორჩმა ძიუდოისტებმა (1974-1975 წწ. დაბ.) მოსკოვის ოლქის ქალაქ კურავსკოეში გამართულ საკავშირო ტურნირში. უძლიერესის სახელი პაატა ლიპარტაშვილმა მოიპოვა (+68 კგ), მეორე ადგილი — დავით სიმონიშვილმა (68 კგ), ხოლო შალვა ჯაბახიძე, ალექსი ოქროპირიძე (ორივე — 62 კგ.) და ბადრი ალელიშვილი (54 კგ) მესამე ადგილზე გავიდნენ.

გუნდმა კი, რომლის მწვრთნელები არიან დიმიტრი ჯიბლაშვილი და ავთანდილ დილმელაშვილი, მესამე ადგილი დაიკავა.

სპორტულ ბაზებზე — სანიტარული წესრიგი!

### ბათუმელები საქმეს სერიოზულად მოეკიდნენ

ამ რამდენიმე ხნის წინათ აჭარის სპორტსახკომმა სპეციალური ბრძანება გამოსცა ავტონომიური რესპუბლიკის სპორტულ ობიექტებზე სანიტარული სისუფთავის განმტკიცებისათვის. გამოიყო საგანგებო კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობს აჭარის სპორტსახკომის თავმჯდომარის მოადგილე ვაჟა კვაჭაძე. მისი თაოსნობით რეგულარულად მოწმდება თუ როგორ სრულდება ბრძანება და რა შედეგი გამოიღო პრაქტიკულად.

ჩვენ მოვინახულეთ ქალაქის რამდენიმე სპორტული ბაზა და ორგანიზაციები.

**ბათუმის „დინამოს" ცენტრალურ სტადიონზე** სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა გატარებული ღონისძიებების შედეგად მირითადად დამაკმაყოფილებელია. ჯერჯერობით მოუწესრიგებელია მხოლოდ ტრიბუნების ტუალეტები.

**ბათუმის სახალხო განათლების ბავშვთა და მოზარდთა ტანვარჯიშის სკოლა.** ეს სპორტული ნაგებობა, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა ქვეყანაში, სრულ წესრიგშია, ჩინებული სისუფთავეა მედპუნქტში, გასახდელებში და საშხაპეებში, შეუკეთებიათ ტუალეტები, შეუცვლიათ მოპირკეთება. მომსახურების კულტურა მაღალ დონეზეა.

**ბათუმის სახალხო განათლების კომპლექსურ სკოლაში** რამდენიმე სპორტული დარბაზია, რომელთა სანიტარულ მდგომარეობას წუნს ვერ დასდებ. სისუფთავეა მიმდებარე ტერიტორიაზეც. დამხმარე ოთახები ნაწილობრივ შეკეთებას მოითხოვს. არ არის ვენტილაცია. ცენტრალური დარბაზი, სადაც მიმდინარეობს მეცადინეობები ხელბურთსა და ფრენბურთში, იატაკია შესაცვლელი. ბაზას არ გააჩნია ცხელი წყალი.

**ბათუმის კომპლექსურ სპორტულ სკოლაში** შემოწმების დღეს სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი იყო. მაგრამ ტრიბუნები სავალალო მდგომარეობაშია.

**ხელვაჩაურის კომპლექსური სპორტული ბაზიდან** გაიტანეს დიდძალი ქვა-ღორღი, დაიდგა ნაგვის ჩასაყრელი რკინის ყუთები.

**ბათუმის სახალხო განათლების ბავშვთა და მოზარდთა კომპლექსური სპორტული სკოლა.** აქ ვაჟთა ტუალეტის შეკეთება თითქმის თვენახევარია ჭიანურდება, არ მუშაობს ვენტილაცია. სხვა მხრივ სანიტარული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

**ოთარ მურვანიძე**
ბათუმი.

ტელეტაიპი - მკითხველი

**იტალიის** ქალაქ სიენის გარეუბანში ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი ცხენთა გადარბენაში, რომელშიც პირველი ადგილი დაიკავა ფრანგმა მხედარმა გასტონ მეიერმა. საერთოდ, ფრანგი მხედრები ერთი თავით მაღლა იდგნენ თავიანთ მეტოქეებზე. მეორე ადგილზე გავიდა სიბელ ჟაკვერი, მესამეზე — კრისტინ ლაბასტიე, მეოთხეზე — მათი თანამემამულე რობერ ჟუვინა, მეხუთე ადგილიც საფრანგეთის წარმომადგენელმა — ჟერარ მტადლერმა დაიკავა.

**დედამიწის** ყველაზე მაღალი მწვერვალის — ევერესტის (8848 მ) დამპყრობთა ნუსხას კიდევ ერთი სახელი შეემატა. ეს არის 27 წლის მექსიკელი მთამსვლელი კარლოს კარსოლიო, რომელიც ამ ქვეყნის მეორე წარმომადგენელია, ვინც ეს მწვერვალი დაიპყრო, პირველი იყო მექსიკელი ექიმი-ფარმაცევტი რიკარდო ტორეს ნავე.

კარსოლიომ პირველად ამ წლის დასაწყისში შეუტია ევერესტს. მაშინ მასთან ერთად იყო მისი მეუღლეც ელზა ავილა. მწვერვალამდე ასი მეტრიღა რჩებოდა, რომ ელზას შეუძლოდ გახდომის გამო კარლოსი იძულებული შეიქნა უარი ეთქვა ასვლაზე. ელზას გამოჯანმრთელების შემდეგ ეს გულადი ოჯახი კვლავ გაეშურა ნეპალში ორ თანაშემწესთან ერთად და საბოლოოდ მაინც მიაღწია მიზანს. თუმცა მწვერვალზე მხოლოდ კარლოს კარსოლიო ავიდა, მისი თქმით, ეს შესაძლებელი გახდა სწორედ საერთო ძალისხმევით.

**ციურიხში** დაიწყო ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობს მსოფლიოში უძლიერესი ჩოგბურთელი ქალი შტეფი გრაფი. საწყის ეტაპზე მან დაამარცხა ამერიკელი პეტი ფენდიკი — 6:3, 6:1. ჰოლანდიელმა ბრენდა შულცმა მოუგო იანა პოსპიშილოვას (ჩეხოსლოვაკია) — 6:1, 7:6; ჰელენა სუკოვამ (ჩეხოსლოვაკია) — კლაუდია კოდეკილშს — 7:5, 6:3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მისთვის ყოველივე ეროვნული ძვირფასი იყო



მერაბ კოსტავამ, ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, 1975 წლის გაზაფხულის ერთ დილას „ლიტერატურული საქართველოს" ცინცხალი ნომერი გადმომცა, რომელშიც მისი შესანიშნავი წერილი იყო გამოქვეყნებული. „მართვეს" რედაქციას, სადაც მაშინ ვმუშაობდი, და მერაბის სახლს ეზო აერთიანებდა. ამიტომ ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს.

— ვიცი, ამ თემაზე ბევრს წერ, ეგებ წამხდარ საქმეს რაიმე ეშველოს, ამ კუთხითაც შეხედე პრობლემასო, — მითხრა.

წავიკითხე ის წერილი და გაოცებული დავრჩი. ხელთ მქონდა დახვეწილი ლიტერატორის მიერ ღრმად გაანალიზებული რეალური სურათი ჩვენში მეცხენეობასა და ცხენოსნობაში შექმნილი საგანგაშო მდგომარეობისა. გამაოცა მოხმობილ ფაქტთა და წყაროთა სიმრავლემ, — თითქოს ამ დარგის უსაჩინოესი სპეციალისტის დასკვნებს ვკითხულობდი. წერილის სხვა ღირსებებს აღარ შევეხები, რადგან აქვე ვბეჭდავთ და მკითხველი თავად შეაფასებს მას.

რამდენიმე წლის შემდეგ სადირექტივო დადგენილებაც გამოვიდა საქართველოში მეცხენეობის, საცხენოსნო ტურიზმისა და საცხენოსნო სპორტის განვითარების შესახებ. შეიქმნა საგანგებო საზოგადოება. ყველაფერი ეს მიზნად ისახავდა ქართული ცხენის გადარჩენას. მაგრამ... წმინდა მეგრული ცხენი აღარსად აღმოჩნდა დასავლეთ საქართველოში, ვიღაცის განკარგულებით გაუწყვეტიათ ერთბაშად — ბეგმის შესახრულებლად სახორცედ (?!) ჩაუბარებიათ.

მერაბ კოსტავას შესანიშნავად ესმოდა სპორტის ფუნქცია ერის ცხოვრებაში და გულით გაიხარა, როცა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნის საკითხი დადგა. სეოკ-ის დამფუძნებელი კონფერენციის მოსაწვევი ბარათი რომ გავუგზავნეთ, თვალებგაბრწყინებულს უთქვამს: დიდებული საქმე კეთდება, ვეცდები, აუცილებლად დაგესწრებით...

მერაბ კოსტავას წმინდა სახელს მისი მშობელი ერის სპორტული მოძრაობაც ჯეროვან პატივს მიაგებს.

თენგიზ გაჩეჩილაძე.



# ცხენი

რა შეედრება ჯიშიანი, ნაკვთად კეთილი ბედაურების ჭვრეტას, დიდრონი, ჭკვიანი, მიმნდობი თვალები, მაღალი, მწყობრი, ჰაეროვანი წვივები, მაყად აზიდული, მასიური მკერდი, ჰოლერილი კისრის მტკიცე ბალავერი, მჭიდროდ შეტკეცილი, კუნთთა ზამბარებში მომწყვდეული მუცელი, სისხლძარღვების მოუსვენარი ტოკვა მოელვარე კანქვეშ, თითქოს ქალური გულმოდგინებით ვარცხნილი ფაფარი; ავდრის მოლოდინი დგომისას, ქარიშხალი აზორგებული ჭენებისას. ქარცეცხლის მფრქვეველი ნესტოები და ლაგამის მკვნეტავი, გაალმასებული კბილები, სისხლის მაჩქროლებელი რიტმები ფეხთა ხმისა, ფლოქვებიდან ავარდნილი მტვრისა და ნაპერწკლის კორიანტელი...

და ბოლოს, ამ თავაწყვეტილი ცამუმის გამხედნავი და დამასადავებელი ფოლადის ხელი!.. აი, ღირსად მისაჩნევი მიზეზი ექსტაზისა და აღფრთოვანების.

მხოლოდ გრძნობაგამრუდებულ ადამიანს არ ძალუძს შეგრძნება იმ მოჭარბებული მშვენიერებისა და კეთილშობილებისა, ცხენს რომ აქვს.

საუბედუროდ, ასეთ სილამაზეს დღეს იშვიათად თუ დალანდავს კაცი. ჩვენს სოფლებსა და დაბებში ბედაურთა ჭაჭანებაც თითქმის აღარსად არის. რამდენიმე წლის წინათ, ფილმ „დიდოსტატის მარჯვენის" გადაღებისას, მთელს საქართველოში ვერ მოუყარეს თავი ბატალური სცენებისათვის საჭირო ოდენობას ცხენებისა...

ოდითგანვე ცნობილია ადამიანის უსაზღვრო გატაცება ცხენებით. ცხენი პოეტების უსაყვარლესი ცხოველი იყო, იგი პოეზიის ასპარეზსაც ამშვენებდა, რადგან საგმირო საქმენი პოეტების შთაგონების წყაროს წარმოადგენდნენ. ვინ არ აღუფრთოვანებია აქილევსის თუ ტარიელის ლაგამისმკვნეტელ ტაიჭთა თუ სხვა ბედაურთა საქებარ მგზნებარე სტროფებს პოეზიაში. მაგრამ არც მითები დარჩენილან ვალში. წარმოდგენას მუდამ ატყვევებდნენ ოქროს ეტლის მზიდველი მერნები ჰელიოსისა თუ პერსეუსისა...

მაგრამ მითი და პოეზია არასოდეს განდრეკილა პრაქტიკისგან, ამიტომ ზედმეტია მტკიცება იმისა, თუ რაოდენ ესათნოებოდათ ცხენები გამოჩენილ მხედართმთავრებს. ამგვარი პატივისგების მწვერვალია ალექსანდრე მაკედონელის მიერ ინდოეთში აგებული ქალაქი საყვარელი მერანის, „ბუცეფალის" უკვდავსაყოფად. ცხენი მრავალი გამოჩენილი ადამიანის ცხოვრების ნაწილს შეადგენდა, ხშირად ცოცხალი ადამიანივით პერსონიფიცირებულს მათს ბიოგრაფიაში. ამაოდ როდი იშვა მოქანდაკეთა წრეში ტრადიცია დიდი ქალაქის ფუძემდებელთა ამხედრებულად წარმოჩენისა, და ეს შემთხვევითი როდია, არა თუ ქალაქების, თვით ერებისა და კულტურების ფუძემდებელნი და ამაგდარნი გამოჩენილი მხედრები ყოფილან ხშირად.

საქართველო უხსოვარი დროიდან მხედრების ქვეყანაც იყო. იგი ამასთან ერთად კეთილშობილი პირუტყვის აპოლოგიით არის ცნობილი.

ძველთაგანვე აქ მრავლად ყოფილან მეცხენეობის დიდოსტატები, მეცნიერნი და ჯიშთა გამომყვანნი. ღრმა ცოდნაზე დაფუძნებით იწერებოდა ძვირფასი კარაბადინები ცხენისა. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ 2000 წლის წინათ ჩვენს წელთაღრიცხვამდე აქ ითესებოდა საგანგებო ჯიშის ბალახეული ცხენისათვის. ნიკო მარის თქმით, ძაღლის კულტის შემდეგ საქართველოში ცხენის კულტი დომინირებდა. საქვეყნოდ ყოფილა განთქმული კოლხური ჯიშის მაღალტანიანი ცხენი, რომელიც, სამწუხაროდ, ჟამთასვლაში გადაშენებულა.

ცხენისა და ცხენოსნობის კულტისათვის ჩვენში მთელი რიგი ისტორიული ფაქტები ღაღადებენ. ტყუილუბრალოდ როდი დაუდგეს რომაელებმა ქანდაკება რომში, მარსის მოედანზე, ცხენზე ამხედრებულ საქართველოს მეფე ფარსმანს (II საუკუნის II ნახევარი), რომელიც თავისი ამალითურთ კეისართან სტუმრად იმყოფებოდა. განა ადვილი იყო ცხენოსნობითა და ვაჟკაცობით ეგოდენი აღფრთოვანება იმგვარი ქვეყნის შვილებისა, რომელთა სამხედრო ძლიერება იმჟამად მთელს მსოფლიოს შიშის ზარს ჰგვრიდა! თუნდაც მეორე, მოსაზსენებლად ღირსი ამბავი: სხვა ქვეყნის მკვიდრთაგან მარტოოდენ ქართველებს ჰქონიათ იერუსალიმში ცხენზე ამხედრებულად შესვლის უფლება და ეს ტრადიცია შემდგომშიც დიდხანს გრძელდებოდა (ივანე ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია"). საქართველოს სამეფო კარზე მთელი ინსტიტუტი არსებობდა მეცხენეობისა. მეჯინიბეთუხუცესი მეფისა უაღრესად პატივსაცემ პირად ირაცხებოდა. თითოეულ სათავადოს საკუთარი ჯიშის ცხენები ჰყოლია თურმე. არსებობდა ბაგრატოვანთ, ამილახვრიანთ, წერეთლიანთ ცხენები და ა. შ., მაგალითად, წერეთლიანთ ცხენები მთლად ოქროსფერნი უნდა ყოფილიყვნენ, თოვლივით თეთრი კავშებით. ასევე გამორჩეული ფერისანი და აღნაგობისანი იყვნენ სხვა სადროშოთა ბედაურები.

ეს ძალუმი სიყვარული ცხენებისადმი, გარდასული დროის ხელოვანთ და მხედართ რომ ჰქონდათ, ასეთივე გზნებით აისახა ჩვენს შედარებით გვიანდელ ლიტერატურასა და ხელოვნებაში. გავიხსენოთ ბედის სამზღვარს გადაცილებული „მერანი" ბარათაშვილისა, ბრწყინვალე სტროფები ვაჟას პოემებიდან და კონსტანტინე გამსახურდიას რომანებიდან, გალაკტიონის „ლურჯა ცხენები" და „ეფემერა", გურამ რჩეულიშვილის მოთხრობები „ალავერდობა" და „თვირთვილა", ბასილ მელიქიშვილის მინიატურა „ქვირინა", ელგუჯა ამაშუკელის ვახტანგ გორგასალი და მერაბ ბერძენიშვილის გიორგი სააკაძე, ლადო გუდიაშვილის ზოგიერთი ნამუშევარი...

და, სამწუხაროდ, ასეთი მშვენიერი და ვაჟკაცური წარსულის მქონე პირუტყვი ჩვენს თვალწინ ქრება.

ცხენთა ჯიშების დაკნინება უკვე მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს დაწყებულა. „სადღა არიან ის კარგი ბედაურები, მამაჩემის დროში რომ მინახავსო ჩვენს საჯინიბოებში", უკითხავს ერთხელ საქართველოს უკანასკნელ მეფეს, გიორგი მეცამეტეს ერთი მეჯინიბისათვის. მეჯინიბეს უპასუხნია: „მაშინ რომ იყვნენ, ის კარგი ვაჟკაცები შესხდნენ იმ კარგ ბედაურებზე და მათთან ერთად გადაიხვეწნენო".

ამჟამად, მექანიზებული ტრანსპორტისა და გამწევი ძალის ეპოქამ, საცხენოსნო და საურმე გზების სამანქანო და სარკინიგზო მაგისტრალებით შეცვლამ კატასტროფულად დაამცრო დანიშნულება ცხენისა ყოველდღიურ ცხოვრებაში. ცხადია, დღეისათვის აღარავინ ისურვებს ცხენით გამგზავრებას მოსკოვში, ან თუნდაც აქვე, დასავლეთ საქართველოში. ამას დღეები, კვირეები, თვეები დასჭირდება და ამჟამად ასეთი მოცალეობა არავისა აქვს. მაგრამ მოკლე მანძილზე, ბარში და განსაკუთრებით მთაგორიან, ძნელადსავალ ადგილებში, ცხენი დღესაც შეუცვლელია. ამიტომ ცხენთა ოდენობის ასეთი საგანგაშო კლება სავსებით გაუმართლებელია.

აი ფრიად დამაღონებელი სტატისტიკა, რომელიც ზოოვეტერინარული ინსტიტუტის პროფესორმა, მეცხენეობის საუკეთესო სპეციალისტმა დავით ქობალავამ მომაწოდა: ამ ოცი წლის წინათ საქართველოში ას ოცი ათასი სული ცხენი ყოფილა, ამჟამად კი მხოლოდ ორმოცდაოთხი ათას რვაასი სულია. სულადობის კლების სტატისტიკა ბოლო რვაწლეულში ასეთია: 1968 წ. — 63 400 სული, 1969 წ. — 61 300 სული, 1970 წ. — 56 000 სული, 1971 წ. — 52 548 სული, 1972 წ. — 48 500 სული, 1973 წ. — 46 660 სული, 1974 წ. — 44 867 სული. გამოდის, რომ საქართველოში ყოველწლიურად ცხენების რაოდენობა 2 500 სულით კლებულობს. თუ ასე გაგრძელდა, 17-18 წელიწადში ერთი სულიც აღარ დარჩება. სავალალო მდგომარეობაშია ცხენების გამრავლების საქმე. ყოველ ას დედა ცხენზე ყოველწლიურად თერთმეტ კვიცს ლებულობენ. ნორმალურ პირობებში კი უნდა მიიღონ სამოცდაათი. სამი ცხენთსაშენიდან დაიხურა ორი. გაუქმდა სახელმწიფო საჯინიბო (ომამდე), საკოლმეურნეო მეცხენეობის ფერმები კახეთსა და დასავლეთ საქართველოში. საგრძნობლად შემცირდა ცხენების რაოდენობა ოჯახებშიც.

განა მარტოოდენ პრაქტიკულ-უტილიტარული დანიშნულებისათვის აშენებდნენ ადამიანები ცხენებს? რად უნდა გადახვეწილიყვნენ ისინი ავტომანქანების მომრავლებისთანავე? ნუ იფიქრებთ, ტექნიკის საწინააღმდეგო პროპაგანდას ვეწეოდე. ცხადია, გვერდს ვერ აუვლი იმას, რაც დროის სულმა მოიტანა, მაგრამ როგორ დავიყუჩოთ ტკივილის გრძნობა, როცა საქართველოს უმეტესი რაიონების (განსაკუთრებით ბარის) მოვლისას ველარ ვტკბებით ამ მშვენიერი, მართლაცდა ვაჟკაცური სანახაობით, მხედრებისა ან ცალკე ბედაურების ცქერით (აქ იპოდრომებზე როდი ვსაუბრობთ, არამედ სოფლებზე, გლეხკაცთა სამოსახლოებზე), გულისტკივილის გრძნობა სამართლიანი რისხვით იცვლება, როდესაც ცხენის გაუჩინარების ერთ მნიშვნელოვან მიზეზსაც ვგებულობთ. თურმე ნუ იტყვით და მას შემდეგ, რაც საქართველოში მელიების ფერმები მოაშენეს, მრავალი ცხენი მელიების გამოსაკვებად განადგურდა. ასე რომ, უკეთილშობილესი და ადამიანის უერთგულესი მეგობარი ცხოველთა ჯილაგს შეეწირა. ღმერთმა ნუ გვაფიქრებინოს, რომ ჩვენს ხალხს გამოუნელდა ვაჟკაცური სულისკვეთება და სილამაზის ჭეშმარიტი შეგრძნება. ამგვარ საქმეთა მიზეზად ჩვენივე დაუდევრობა და არასწორი ინსტრუქციები უნდა მივიჩნიოთ. ეჭვი მაინც არ გასვენებს, როდესაც ხედავ, რომ ჩვენი გლეხკაცობა, მთელი ჩვენი ინტელიგენცია მარტოოდენ უტყვი მოწმის როლში აღმოჩნდა და წინ აღარ აღუდგა ამ აღმაშფოთებელ ამბავს. განა ცხენებს გაუჭირდებოდათ არსებობა მანქანების გვერდით? განა ურიგო იქნებოდა, თუნდაც მიმწუხრისას გაჯირითება ბუნების წიაღში? ჯანსაღი ემოციისა და მშვენიერების შეგრძნება ამ კეთილშობილ პირუტყვთან ერთად? ფიზიკურ შრომისაგან დამაშვრალ გლეხკაცებს კი არა, ქალაქელებსაც არ აწყენდათ ამგვარი დასვენება. განა ასე არ იქცევიან ამჟამადაც ევროპელები ბულონისა და ვენის ტყეებში, ინგლისურ პარკებში? საუბედუროდ, დღეს არც დოღები იმართება ისეთი მასშტაბით, როგორითაც უწინ, აღარც ამ ვაჟკაცური სპორტის გულშემატკივრები მოიძებნებიან იმგვარი ოდენობით, როგორიც ფეხბურთსა და სპორტის სხვა სახეობებს ჰყავთ.

მოდით, ავმაღლდეთ პრაქტიციზმზე!

კვლავაც ფართოდ დავნერგოთ ჩვენში ყველა დროის უმშვენიერესი პირუტყვის, ოდითგანვე რაინდთა უერთგულესი მეგობრის, ცხენის კულტურა.

**მერაბ კოსტავა.**

**„ლიტერატურული საქართველო", 1975 წ. 25 აპრილი. № 17 (1964).**

# I ლიგა

**17 ოქტომბერს** გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მე-40 ტურის შეხვედრები.

ყურადღების ცენტრში იყო მატჩი ლანჩხუთში, სადაც ადგილობრივმა „გურიამ“ მიიღო ძლიერი მეტოქე — ბაქოს „ნეფთჩი“. ჩვენი ლანჩხუთელი კორესპონდენტი ა. **ორმოცაძე** ამ შეხვედრის თაობაზე გვატყობინებს:

თამაშის დაწყების წინ ლანჩხუთელმა მაყურებლებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს დიდი ქართველი პატრიოტის მერაბ კოსტავას ხსოვნას.

თამაში დაიწყო ლანჩხუთელთა უპირატესობით, მიმდინარეობდა მე-13 წუთი, ქორდანია-ფრიდონაშვილმა სწრაფი კომბინაცია გაითამაშეს და ამ უკანასკნელმა ოსტატური დარტყმით გახსნა ანგარიში — 1:0. ამის შემდეგ საპასუხო ბურთის გატანის შესაძლებლობა მიეცა ყურბანოვს, მაგრამ მისი დარტყმა მიზანს აცდა. კარის აღება შეეძლო კორღალიძესაც, მაგრამ...

თამაშის მე-60 წუთზე, „ნეფთჩის“ საჯარიმო მოედანზე გასული კორღალიძე უხეშად წააქცია მირზოევმა. მსაჯმა 11-მეტრიანი დანიშნა, და ქორდანიამ ზუსტად შეასრულა დარტყმა — 2:0. დარჩენილ დროში ბაქოელები ბევრს ეცადნენ, მაგრამ „გურიის“ მცველებმა ოლეფირენკოს მეთაურობით შეძლეს ყველა ხიფათის მოგერიება, „გურიამ“ შეინარჩუნა დამსახურებული გამარჯვება და კიდევ 2 ქულა მიუმატა თავის აქტივს.

გუნდების შემადგენლობანი: **„გურია“** — აბუსერიძე, ტყებუჩავა, ოლეფირენკო, დანელია, კაბისაშვილი, ცომაია, ქორდანია (დოზმოროვი), ბარათაშვილი, კორღალიძე, ფრიდონაშვილი, გურული; **„ნეფთჩი“** — ჰასანოვი, ალხაზოვი, აბდულაევი, მირზოევი (კადიროვი), ესაულოვი, სულეიმანოვი, ჰუსეინოვი, რიზაევი, (ალეგბეროვი), ყურბანოვი, კასუმოვი, აჰმედოვი. მსაჯი ა. ალექსანდროვი (იაროსლავლი).

### გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 19 ოქტომბრისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 38 | 24 | 10 | 4 | 99-24 | 58 |
| „გურია“ | 39 | 24 | 9 | 6 | 68-35 | 57 |
| „კაირატი“ | 38 | 22 | 8 | 8 | 71-33 | 52 |
| „ფაკელი“ | 38 | 17 | 11 | 10 | 48-33 | 45 |
| „დინ.“ სტ. | 38 | 17 | 11 | 10 | 49-39 | 45 |
| „ტავრია“ | 39 | 16 | 11 | 12 | 58-50 | 43 |
| „მეტალ.“ | 38 | 16 | 10 | 12 | 50-36 | 42 |
| „ნეფთჩი“ | 38 | 15 | 12 | 11 | 50-41 | 42 |
| „ნისტრუ“ | 39 | 18 | 4 | 17 | 42-56 | 40 |
| „გეოლოგი“ | 39 | 16 | 8 | 15 | 48-46 | 40 |
| „ფახთაქ.“ | 38 | 15 | 10 | 13 | 52-36 | 40 |
| „კოტაიკი“ | 38 | 13 | 12 | 13 | 41-39 | 38 |
| „ტორპედო“ | 38 | 16 | 5 | 17 | 60-69 | 37 |
| „როსტსელ.“ | 38 | 11 | 13 | 14 | 36-41 | 35 |
| „შინიკი“ | 39 | 11 | 13 | 15 | 42-58 | 35 |
| „დინ.“ ბ. | 39 | 11 | 12 | 16 | 37-55 | 34 |
| „სპარტაკი“ | 38 | 11 | 10 | 17 | 43-52 | 32 |
| „კუზბასი“ | 38 | 10 | 10 | 18 | 25-40 | 30 |
| „ყუბანი“ | 38 | 10 | 10 | 18 | 37-69 | 30 |
| ასკ რ. | 38 | 8 | 11 | 19 | 47-71 | 27 |
| „დაუგავა“ | 38 | 8 | 7 | 23 | 27-63 | 23 |
| ასკ „კარპ.“ | 38 | 5 | 7 | 26 | 35-79 | 17 |

## საქართველოს პირველობა

**გაიმართა** რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის, აგრეთვე გამოტოვებული მატჩები.

**„სქური“ (წალენჯიხა) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 3:7. მსაჯი რ. გარნოვსკი (სამტრედია).** გოლები: ჭოლოხავა, ლუკავა, ხუბულუა („სქური“), ნასუაშვილი-2, შონია-3, დარჩიაშვილი, ქურცაძე (ფიზკ. ინსტ.).

ურთიერთთან უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს მ. ჭოლოხავა („სქური“) და გ. პაიჭაძე (ფიზკ. ინსტ.), ხოლო განზრახ ხელით თამაშისთვის — მ. ქურცაძე (ფიზკ. ინსტ.).

**„მზიური (გალი) — „დინამო“ (ზუგდიდი) 3:0. მსაჯი ზ. დარჩია (თბილისი).** გოლები: კუპრავა, კვეკვესკირი, აბშილავა („მზიური“).

**„მადაროელი“ (ჭიათურა) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 0:3, მსაჯი რ. გარნოვსკი (სამტრედია).** გოლები: ჩიბაშვილი, სირაძე, კუხიანიძე (პოლ. ინსტ.).

**„არმაზი“ (მცხეთა) — „მზიური“ (გალი) 2:1. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).** გოლები: კუბანოვი, ხუჭუა („არმაზი“), ჯღარკავა („მზიური“).

**„ივერია“ (ხაშური) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 0:1. მსაჯი ხ. კვარაცხელია (ზუგდიდი).** გოლი: ნასუაშვილი (ფიზკ. ინსტ.).

**„სქური“ (წალენჯიხა) — „არაგვი“ (დუშეთი) 2:1. მსაჯი ტ. ნოშნიანიძე (თბილისი).** გოლები: გეთია-2 („სქური“), მოსიაშვილი („არაგვი“).

**„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „ხულორი“ (ვანი) 1:0. მსაჯი გ. კალანდია (ზუგდიდი).** გოლი: ფრუიძე („მეტალურგი“).

**„სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „დინამო“ (ზუგდიდი) 3:2. მსაჯი ზ. ჯინჯარაძე (ოზურგეთი).** გოლები: ჩალიგავა, ქარჩავა-2 („სამეგრელო“), მაქაცარია, სართანია („დინამო“).

**„სიონი“ (ბოლნისი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 3:3. მსაჯი თ. კურტანიძე (თბილისი).** გოლები: ავქოფაშვილი, ლაზარევი, ფოცხვერაშვილი („სიონი“) კაკუბავა-2, გაბისონია („ამირანი“).

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს კ. შამუგია („ამირანი“).

**„სპარტაკი“ (ცხინვალი) — „შადრევანი“ (წყალტუბო) 0:0. მსაჯი მ. მირცხულავა (ლანჩხუთი).**

**„საპოვნელა“ (თერჯოლა) — „დინამო“ (გაგრა) 2:0. მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი).** გოლები: ბოჭორიშვილი, ლილუაშვილი („საპოვნელა“).

**„შადრევანი“ (წყალტუბო) — „ხულორი“ (ვანი) 3:2. მსაჯი ხ. შალამბერიძე (თბილისი).**

**„მზიური (გალი) — „არაგვი“ (დუშეთი) 3:2. მსაჯი ი. კანდელაკი (თბილისი).** გოლები: კვეკვესკირი, ჯღარკავა, მორგოშია („მზიური“), ჯამლაძე, მოსიაშვილი („არაგვი“).

### II ჯგუფი

#### აღმოსავლეთი ქვეჯგუფი

„გარისი“ — „სამგორი“ 5:1, „თრიალეთი“ — „ჰერეთი“ 1:2, „მეტალისტი“ — „მიონი“ 6:2, „კახეთი“ — „გარეჯი“ 6:3, „ქიზიყი“ — „სპორტ. ინტ.“ თბ. 3:1, „შირაქი“ — „კოლმეურნე“ 6:0.

#### ცენტრალური ქვეჯგუფი

„ფარვანა“ — „რაჭა“ 1:0, „ზარზმა“ — „იბერია“ 3:0, „საირმე“ — „ჩხერიმელა“ 4:2, „მეშახტე“ — „მამისონი“ 5:2, „ქართლი“ — „ჩიხურა“ 3:0, „ვარძია“ — „მესხეთი“ 2:2, „თორი“ — „აბული“ 3:1,

#### დასავლეთი ქვეჯგუფი

„ზანა“ — „მეშახტე“ 1:4, „იმერეთი“ — პოლ. ინსტ. (ქუთაისი) 3:0, „ეგრისი“ — „ბახმარო“ 2:2.

ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდს ხონის „იმერეთთან“ გამოუცხადებლობისთვის ჩაეთვალა წაგება.

ფეხბურთის სამმართველოდან გვაცნობეს, რომ საქართველოს პირველობის პირველი და მეორე ჯგუფების 21 ოქტომბერს დანიშნული შეხვედრები გაიმართება 23 ოქტომბერს. 22 ოქტომბერს შეხვედრები ჩატარდება კალენდრის მიხედვით. ასევე 22 ოქტომბერს შედგება ზონალური გათამაშების შეხვედრები.

### გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 19 ოქტომბრისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „შადრევანი“ | 31 | 20 | 9 | 2 | 68-29 | 49 |
| „სპარტაკი“ | 29 | 15 | 4 | 10 | 55-33 | 34 |
| „ივერია“ | 30 | 14 | 6 | 10 | 46-40 | 34 |
| „მეტალ.“ | 31 | 12 | 8 | 11 | 56-49 | 32 |
| „მადარო.“ | 31 | 12 | 8 | 11 | 44-44 | 32 |
| „ამირანი“ | 27 | 11 | 10 | 6 | 51-66 | 32 |
| „სამეგრელო“ | 31 | 14 | 3 | 14 | 50-59 | 31 |
| „სქური“ | 30 | 13 | 5 | 12 | 42-45 | 31 |
| „მზიური“ | 29 | 12 | 7 | 10 | 45-40 | 31 |
| „დინამო“ ზ. | 25 | 13 | 4 | 8 | 58-30 | 30 |
| სპი | 29 | 12 | 6 | 11 | 62-59 | 30 |
| „სულორი“ | 31 | 11 | 8 | 12 | 46-48 | 30 |
| „სიონი“ | 31 | 11 | 7 | 13 | 65-67 | 29 |
| „დინამო“ გ. | 28 | 12 | 3 | 13 | 50-51 | 27 |
| „საპოვნელა“ | 30 | 11 | 5 | 14 | 53-60 | 27 |
| „არმაზი“ | 29 | 8 | 10 | 11 | 29-35 | 26 |
| „დურუჯი“ | 29 | 11 | 2 | 16 | 43-76 | 24 |
| ფიზკ. ინსტ. | 28 | 8 | 6 | 14 | 48-52 | 22 |
| „ბახტრ.“ | 30 | 8 | 6 | 16 | 35-58 | 22 |
| „არაგვი“ | 29 | 5 | 5 | 19 | 31-66 | 15 |

## UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

**გუშინ** გაიმართა ევროპის საკლუბო ტურნირების II წრის პირველი შეხვედრები.

**ჩემპიონთა თასი:**

„დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — „ტიროლი“ (ავსტრია) 2:0.

**უეფა-ს თასი:**

„დინამო“ (კიევი) — „ბანიკი“ (ჩეხოსლოვაკია) 3:0.

„ზენიტი“ (ლენინგრადი) — „შტუტგარტი“ (გფრ) 0:1

ევროპის საკლუბო ტურნირების პირველი მატჩები გაიმართა, აგრეთვე, განვლილ სამშაბათს, 17 ოქტომბერს. თასების მფლობელთა თასზე გფრ-ის „ბორუსიამ“ (დორტმუნდი) და იტალიის „სამპდორიამ“ ფრედ ითამაშეს — 1:1, ხოლო „მონაკომ“ (საფრანგეთი) და გდრ-ის „დინამომ“ (ბერლინი) ასევე ფრედ დაამთავრეს თამაში — 0:0.

უეფა-ს ტურნირში ავსტრიის „ვიენამ“ საბერძნეთის „ოლიმპიაკოსთან“ ფრედ ითამაშა — 2:2, ბელგიის „ანტვერპენმა“ კი დაამარცხა შოტლანდიის „დანდი იუნაიტედი“ —4:0.

# საქველმოქმედო მატჩი

**ჟინვალში** მოეწყო საქველმოქმედო მატჩი ფეხბურთში, ერთმანეთს შეხვდნენ დუშეთის „არაგვისა“ და წყალტუბოს „შადრევანის“ ვეტერანთა გუნდები, თუ შეიძლება ვეტერანები ვუწოდოთ 25-28 წლის ჯანღონით სავსე ახალგაზრდებს, რომლებმაც ამ დღეს თამაშზე მოსულ მაყურებელს კიდევ ერთხელ დაუმტკიცეს, რომ მათი ყოფნა „თამაშგარე მდგომარეობაში“ ნაადრევია.

მატჩი კი ფრედ დამთავრდა — 3:3. ძნელია იმის მტკიცება, თუ რა შემატა მოთამაშეთა ასაკის შეზღუდვამ ქართულ ფეხბურთს, მაყურებელმა კი რომ ბევრი დაკარგა, ეს ჟინვალში გამართულ მატჩშიც გამოჩნდა. შეხვედრის შემდეგ ორივე გუნდის ფეხბურთელებმა გარკვეული თანხა გადარიცხეს 9 აპრილის ფონდში.

მალე წყალტუბოელი და დუშელი ფეხბურთელები კვლავ გამართავენ საქველმოქმედო მატჩს, რომელიც წყალტუბოში შედგება.

**ზ. ხიანაიძე.**

## საერთაშორისო ფეხბურთი: შედეგები, ცხრილები

**გაიმართა** უცხოეთის საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი მატჩები.

**იტალია**

**მე-8 ტური.** „ასკოლი“ — „ბოლონია“ 1:1, „ჩეზენა“ — „ლაციო“ 0:0, „კრემონეზე“ — „მილანი“ 1:0, „ინტერი“ — „ბარი“ 1:1, „იუვენტუსი“ — „ატალანტა“ 0:1, „ლეჩე“ — „ფიორენტინა“ 1:0, „რომა“ — „ნაპოლი“ 1:1, „სამპდორია“ — „ვერონა“ 1:0, „უდინეზე“ — „ჯენოვა“ 2:4.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ნაპოლი“ | 8 | 12-5 | 13 |
| „ინტერი“ | 8 | 12-6 | 12 |
| „სამპდორია“ | 8 | 13-8 | 12 |

**ესპანეთი**

**მე-6 ტური.** „რიო ვალეხანო“ — „მაიორკა“ 0:0, „სან სებასტიანი“ — „კასტელონი“ 2:0, „ტენერიფე“ — „ოვიედო“ 2:1, „ვიგო“ — „ოსასუნა“ 1:1, „ბარსელონა“ — „რეალი“ 3:1, „ლოგრონიესი“ — „ვალიადოლიდი“ 1:0, „ატლეტიკო“ — „სარაგოსა“ 2:1, „კადისი“ — „მალაგა“ 0:2, „ვალენსია“ — „სევილია“ 1:1, „ხიხონი“ — „ბილბაო“ 0:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ატლეტიკო“ | 6 | 8-3 | 10 |
| „სევილია“ | 6 | 7-3 | 9 |
| „რეალი“ | 6 | 13-6 | 8 |

**ავსტრია**

**მე-14 ტური.** „ვინერ სკ“ — „სენტ პოლტენი“ 0:1, „რაპიდი“ — „ადმირა“ 1:0, „შტურმი“ — „ტიროლი“ 0:0, „შტეირი“ — „გრაცერი“ 2:0, „ზალცბურგი“ „ვიენა“ 0:0, „კრემსერი“ — „აუსტრია“ 2:3.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ტიროლი“ | 14 | 32-14 | 22 |
| „აუსტრია“ | 14 | 33-15 | 21 |
| „რაპიდი“ | 14 | 27-17 | 18 |

**დანია**

**მე-20 ტური.** „ბრონშიო“ — „ნესტვედი“ 0:1, „1903 კოპენჰაგენი“ — „ვეილე“ 3:1, „იკასტი“ — „ჰერფოლგე“ 2:1, „ფრამი“ — „ლუნგბიუ“ 1:4, „ბკ ოდენსე“ — „სილკებორგი“ 3:0, „ალბორგი“ — „ბრონდბიუ“ 2:0, „ორჰუსი“ — „1913 ოდენსე“ 4:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბკ ოდენსე“ | 20 | 37-13 | 32 |
| „ლუნგბიუ“ | 20 | 39-21 | 28 |
| „ვეილე“ | 20 | 35-20 | 28 |

**ინგლისი**

**მე-8 ტური.** „ასტონ ვილა“ — „დერბი“ 1:0, „ჩელსი“ — „არსენალი“ 0:0, „კრისტალ პალასი“ — „ევერტონი“ 2:1, „მანჩესტერ სიტი“ — „ლუტონი“ 3:1, „მილუოლი“ — „ნორვიჩი“ 0:1, „ნოტინგემი“ — „ჩარლტონი“ 2:0, „შეფილდი“ — „ქოვენთრი“ 0:0, „საუთჰემპტონი“ — „უიმბლდონი“ 2:2, „ტოტენჰემი“ — „ქუინს პარკი“ 3:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ლივერპული“ | 7 | 19-3 | 15 |
| „ჩელსი“ | 8 | 13-7 | 15 |
| „არსენალი“ | 7 | 11-5 | 14 |

**ჰოლანდია**

**მე-9 ტური.** „აიაქსი“ — „უტრეხტი“ 3:0, „ნეიმეგენი“ — „სიტარდი“ 1:0, „ტვენტე“ — „ეინდჰოვენი“ 0:0, „სპარტა“ — „ვალვიკი“ 2:1, „დენ ჰააგი“ — „ვოლენდამი“ 2:1, „დენ ბოში“ — „გრონინგენი“ 0:0, „მაასტრიხტი“ — „არნჰეიმი“ 1:5.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ეინდჰოვენი“ | 8 | 28-11 | 12 |
| „ვალვიკი“ | 9 | 16-12 | 12 |
| „როდა“ | 8 | 14-10 | 11 |

**არგენტინა**

**მე-8 ტური.** „რესინგი კორდობა“ — „ინსტიტუტო“ 0:0, „ჩაკო ფორ ევერ“ — „როსარიო სენტრალ“ 1:1, „გიმნასია“ — „რივერ პლეიტი“ 1:0, „ტალერესი“ — „ველეზ სარსფილდი“ 0:1, „არგენტინოს ხუნიორსი“ — „ესტუდიანტესი“ 2:1, „ბოკა ხუნიორსი“ — „დეპორტივო მანდიუ“ 4:2, „ნეველს ოლდ ბოისი“ — „უნიონი სანტა ფე“ 2:2, „რესინგ კლუბი“ — „დეპორტივო ესპანიოლი“ 4:3, „სან ლორენსო“ — „ფეროკარილ ოესტე“ 0:0, „პლატენსე“ — „ინდეპენდიენტე“ 2:2.

| | | |
|---|---|---|
| „როსარიო სენტრალი“ | 8 | 10 |
| „რივერ პლეიტი“ | 8 | 10 |
| „ინდეპენდიენტე“ | 8 | 10 |
| „გიმნასია“ | 8 | 10 |

**ბრაზილია**

**მე-4-5 ტურები. 1 ჯგუფი.** „ატლეტიკო მ. ჟ.“ — „ბოტაფოგო“ 2:0, „კორიანტიანსი“ — „სან პაულუ“ 2:0, „ინტერი რესიფე“ — „ატლეტიკო პარანა“ 0:0, „ნაუტიკო“ — „გუარანი“ 1:2, „ვიტორია“ — „ფლამენგო“ 0:0, „ფლამენგო“ — „ინტერი რესიფე“ 0:0, „გუარანი“ — „ატლეტიკო პარანა“ 0:1, „ნაუტიკო“ — „კორინტიანსი“ 1:0, „ვიტორია“ — „ინტერი სან პაულუ“ 2:1, „ატლეტიკო მ. ჟ.“ — „სან პაულუ“ 4:1.

| | | |
|---|---|---|
| „კორიანტიანსი“ | 6 | ქ. |
| „ინტერი რესიფე“ | 5 | |
| „ინტერი სან-პაულუ“ | 5 | |

**II ჯგუფი.** „კურიტიბა“ — „კრუზეირო“ 0:0, „ფლუმინენსე“ — „სპორტი“ 2:0, „გრემიო“ — „სანტოსი“ 0:0, „პორტუგეზა“ — „პალმეირასი“ 1:0, „ვასკო და გამა“ — „ბაია“ 2:2, „ფლუმინენსე“ — „კურიტიბა“ 2:0, „სანტოსი“ — „გოიასი“ 0:0, „პორტუგეზა“ — „სპორტი“ 0:1, „გრემიო“ — „კრუიზეირო“ 2:0.

| | | |
|---|---|---|
| „ფლუმინენსე“ | 8 | ქ. |
| „ვასკო და გამა“ | 6 | |

**შვეიცარია**

**მე-14 ტური.** „იანგ ბოისი“ — „ბელინცონა“ 2:2, „არაუ“ — „სენტ გალენი“ 1:2, „სერვეტი“ — „გრასჰოპერსი“ 2:0, „ლუგანო“ — „ქსამაქსი“ 6:1, „ლუცერნი“ — „ლოზანა“ 3:0, „სიონი“ — „ვეტინგენი“ 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ქსამაქსი“ | 14 | 29-22 | 22 |
| „სიონი“ | 14 | 22-16 | 19 |
| „სენტ გალენი“ | 14 | 24-17 | 16 |

**გფრ**

**მე-12 ტური.** „მანჰეიმი“ — „მიონჰენგლადბახი“ 4:2, „შტუტგარტი“ — „სენტ პაული“ 4:0, „დიუსელდორფი“ — „კარლსრუე“ 2:2, „დორტმუნდი“ — „იურდინგენი“ 2:0, „კიოლნი“ — „ჰომბურგი“ 1:0, „ჰამბურგი“ — „ნიურნბერგი“ 1:0, „ლევერკუზენი“ — „ფრანკფურტი“ 2:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „კიოლნი“ | 12 | 20-13 | 18 |
| „ბაიერნი“ | 12 | 27-11 | 17 |
| „ლევერკუზენი“ | 12 | 17-7 | 17 |

**პოლონეთი**

**მე-10 ტური.** „რუხი“ — „კსლოძი“ 4:1, „ლიუბლინი“ — „სლოსკი“ 1:0, „ვიძევი“ — „ბიალისტოკი“ 1:2, „გურნიკი“ — „ვისლა“ 2:0, „სტალი“ — „ლეხი“ 1:0, „ლუბინი“ — „სოსნოვეცი“ 1:0, „ლეგია“ — „ბიდგოშჩი“ 1:0, „ოლიმპია“ — „გკს კატოვიცე“ 0:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „რუხი“ | 10 | 19-8 | 16 |
| გკს | 10 | 15-6 | 16 |
| „გურნიკი“ | 10 | 15-7 | 15 |

**ბელგია**

**მე-8 ტური.** „რესინგი“ — „კორტრიკი“ 0:0, „ლოკერენი“ — „სტანდარდი“ 0:0, „ანდერლეხტი“ — „ბეერსკოტი“ 2:0, „სერკლი“ — „სენტ ტრუდენი“ 2:1, „ლიერსი“ — „შარლერუა“ 2:1, „ბევერენი“ — „ბრიუგე“ 0:1, „ლიეჟი“ „ეკერენი“ 2:0, „ვარეგემი“ — „გენტი“ 0:3, „ანტვერპენი“ „მეჰელენი“ 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ანდერლეხტი“ | 8 | 22-3 | 14 |
| „მეჰელენი“ | 8 | 15-3 | 13 |
| „ბრიუგე“ | 8 | 13-8 | 11 |

**საფრანგეთი**

**მე-13 ტური.** „ლილი“ — „მარსელი“ 2:0, „სოშო“ — „მონპელიე“ 3:1, „კანი“ — „ლიონი“ 2:1, „ბრესტი“ — „ოსერი“ 2:1, „ტულონი“ — „ნიცა“ 1:1, „ბორდო“ — „მულუზი“ 1:0, „კაენი“ — „სენ ჟერმენი“ 2:0, „მონაკო“ — „ნანტი“ 0:0, „სენტ ეტიენი“ — „ტულუზა“ 0:3, „რესინგი“ — „მეცი“ 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბორდო“ | 13 | 18-5 | 20 |
| „მარსელი“ | 12 | 25-9 | 18 |
| „სოშო“ | 13 | 20-12 | 18 |

**შოტლანდია**

**მე-8 ტური.** „მოზერეული“ — „რეინჯერსი“ 1:0, „სელტიკი“ — „ჰიბერნიანი“ 3:1, „დანდი იუნაიტედი“ — „აბერდინი“ 2:0, „ჰართსი“ — „დანფერმლაინი“ 1:2, „სენტ მირენი“ — „დანდი“ 3:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სელტიკი“ | 8 | 12-8 | 10 |
| „მოზერეული“ | 8 | 11-7 | 10 |
| „აბერდინი“ | 8 | 7-5 | 10 |

**იუგოსლავია**

**მე-9 ტური.** „სარაევო“ — „ველეჟი“ 0:0 (4:3), „რადი“ — „ბუდუჩნოსტი“ 2:2 (4:5), „ოლიმპია“ — „რიეკა“ 2:0, „ცრვენა ზვეზდა“ — „ბანია ლუკა“ 3:0, „დინამო“ — „რადნიჩკი“ 3:0, „სუბოტიცა“ — „პარტიზანი“ 0:4, „სლობოდა“ — „ჰაიდუკი“ 2:2, „ვოივოდინა“ — „ოსიეკი“ 1:1, (3:5), „ვარდარი“ — „ჟელეზნიჩარი“ 0:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „დინამო“ (ზაგრები) | 9 | 15-2 | 14 |
| „ცრვენა ზვეზდა“ | 9 | 23-12 | 1[illegible] |
| „ბუდუჩნოსტი“ | 9 | 12-11 | [illegible] |



სსრ კავშირის

ჩემპიონატი კალათბურთში

# კონდრაშინი დაუბრუნდა „სპარტაკს“

**გაიმართა** უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის რამდენიმე მატჩი.

**რიგა.** თბილისის „დინამო“ აქ შეხვდა ვეფ-ს, პირველ ტაიმში ბრძოლა შედარებით თანაბარი იყო და ლატვიელმა კალათბურთელებმა ექვსქულიან უპირატესობას მიაღწიეს (46:40). შესვენების შემდეგ ძალთა შეფარდება საგრძნობლად შეიცვალა მასპინძლების სასარგებლოდ, რომლებმაც საბოლოოდ გაიმარჯვეს კიდეც — 106:91.

**ტალინი.** გათამაშების ერთ-ერთი ლიდერი „კალევი“ შინ ორჯერ წაამარცხდა მოსკოვის „დინამოსთან“ შეხვედრაში, განსაკუთრებით მძაფრი ბრძოლით აღინიშნა მეორე მატჩი, რომლის ძირითადმა დრომ უძლიერესი ვერ გამოავლინა. დინამოელებმა გამარჯვება მოიპოვეს დამატებით 5 წუთში 94:89 (44:43, 79:79). პირველ მატჩში სტუმრების უპირატესობა შვიდი ქულით განისაზღვრა (86:79).

**დონეცკი.** ცსკა-მ განმეორებითი თამაშიც მოუგო „შახტიორს“ 85:70 და სატურნირო მდგომარეობა კიდევ უფრო განიმტკიცა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ მატჩის პირველი ნახევარი დონეცკელ კალათბურთელთა სასარგებლოდ დამთავრდა — 42:41.

**ვილნიუსი.** ადგილობრივი „სტატიბასა“ და კაუნასის „ჟალგირისის“ ორთაბრძოლაში უპირატესობა კაუნასელთა მხარეს იყო — 95:89 (42:32).

**ლენინგრადი.** პირველი მატჩი „სპარტაკმა“ შინ დათმო ალმა-ათის არმიელებთან 70:76 (37:39). ნევისპირელთა გუნდს დაუბრუნდა მწვრთნელი კონდრაშინი და ამ კლუბის რამდენიმე ყოფილი წევრი, მათ შორის კაპუსტინი.

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 18 ოქტომბრისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ცსკა | 9 | 8 | 1 | 17 |
| „დინამო“ (მ.) | 10 | 7 | 3 | 17 |
| „კალევი“ (ტალ.) | 10 | 7 | 3 | 17 |
| ასკ (ალმა-ათა) | 9 | 6 | 3 | 15 |
| ვეფ (რიგა) | 9 | 6 | 3 | 15 |
| „ჟალგირ.“ (კაუნ.) | 9 | 4 | 5 | 13 |
| „შახტ.“ (დონ.) | 10 | 3 | 7 | 13 |
| „ბუდიველნიკი“ (კ.) | 8 | 4 | 4 | 12 |
| „სპარტაკი“ (ლენ.) | 9 | 3 | 6 | 12 |
| რტი (მინსკი) | 8 | 3 | 5 | 11 |
| „სტატიბა“ (ვილნ.) | 9 | 2 | 7 | 11 |
| „დინამო“ (თბ.) | 8 | 1 | 7 | 9 |

## ფინალში კარპოვი და ტიმანი

**ლონდონში** დამთავრდა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტ ვაჟთა ნახევარფინალური მატჩები, როგორც მოსალოდნელი იყო, მსოფლიოს ექსჩემპიონმა ანატოლი კარპოვმა დაამარცხა არტურ იუსუპოვი, ხოლო ჰოლანდიელმა იან ტიმანმა ინგლისელი ჯონათან სპილმენი. ორივე ორთაბრძოლა ერთნაირი ანგარიშით დამთავრდა — 4,5:3,5, რაც თავისთავად მიუთითებს მატჩების სიმძაფრეზე.

**უცხოეთის სპორტული ამბების ქრონიკა • უცხოეთის სპორტული ამბების ქრონიკა**

### სტეფკა კოსტადინოვა — № 1

ბულგარეთის განთავისუფლების 45 წლისთავთან დაკავშირებით სოფიის სპორტულმა გაზეთმა „სტარტმა“ მოაწყო კონკურსი, რომლის მონაწილეებსაც ქვეყნის უძლიერესი სპორტსმენი უნდა დაესახელებინათ. გამოკითხვაში 28 რედაქცია მონაწილეობდა.

280 შესაძლებლიდან 249 ხმა მიიღო სტეფკა კოსტადინოვამ, რის შედეგადაც იგი ბულგარეთის № 1 სპორტსმენად აღიარეს. 204 ხმით მეორეა მოცურავე ტანია ბოგომილოვა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მასზე სულ ერთი ხმით ნაკლები მიიღო ევროპის რეკორდსმენმა სამხტომში, მსოფლიო ჩემპიონმა ხრისტო მარკოვმა.

### კრის ევერტი მიდის

გამოჩენილმა ჩოგბურთელმა კრის ევერტმა გამოაცხადა, რომ 1989 წლის სეზონის დამთავრების შემდეგ აღარ აპირებს თამაშს.

არცერთ ქალს ჩოგბურთის ისტორიაში ასეთი წარმატებები არა ჰქონია. მან გაიმარჯვა 157 (!) ტურნირში, რაც ეტყობა, დიდხანს მიუღწეველი იქნება. სტატისტიკოსებმა ისიც გამოთვალეს, რომ თავისი კარიერის მანძილზე ევერტმა მოიგო 1 277 შეხვედრა და 137 წააგო. „ახლა სწორედ ის დროა, დედა რომ გავხდე“ — განაცხადა ევერტმა.

### კატარინა ვიტი — კარმენი

**სარაევოსა** და კალგარის ზამთრის ოლიმპიური თამაშების გამარჯვებული, 23 წლის მოციგურავე კატარინა ვიტი მალე აისრულებს თავის დიდი ხნის ოცნებას — შეასრულებს კარმენის როლს.

კატარინა ვიტმა ხელი მოაწერა კონტრაქტს ერთ-ერთ დასავლეთგერმანულ კინოსტუდიასთან და იწყებს გადაღებას ფილმ „კარმენში“, მთავარ როლში. ფილმის ზოგ ეპიზოდს სევილიაში (ესპანეთი) გადაიღებენ.

### ტაისონი გამოიწვია

40 წლის ჯორჯ ფორმენმა, რომელიც ადრე ოლიმპიური, შემდეგ კი მსოფლიო ჩემპიონიც იყო მძიმე წონის პროფესიონალებს შორის, გამოიწვია მსოფლიო ჩემპიონი მაიკ ტაისონი. მას შემდეგ, რაც ფორმენი კრივს დაუბრუნდა, იგი ყველა შეხვედრას ნოკაუტით იგებს. ეს ასეა, მაგრამ ტაისონთან შეხვედრა ამჟამად რამდენიმე მოკრივეს სურს პრეტენდენტთა იმ ათეულიდან, რომელთა სიას კრივის საერთაშორისო ორგანიზაციები აქვეყნებენ ხოლმე. ისე რომ, საკითხი, ვინ იქნება მსოფლიო ჩემპიონის მომდევნო მეტოქე, ჯერჯერობით ღიად რჩება.

### რამდენს იღებენ ჩოგბურთელები

ნიუ-იორკში გამოქვეყნებული ცნობით, იანვრიდან ოქტომბრის დამდეგამდე, მსოფლიოს უძლიერესი ჩოგბურთელების შემოსავალი, ასეთია:

ყველაზე მეტი თანხა ვაჟებს შორის მიიღო ბეკერმა (გფრ) — 1.183 478 დოლარი. შემდეგ მოდიან: 2. ლენდლი (ჩეხოსლოვაკია) — 1.117 054. 3. ედბერგი (შვეცია) — 712 672, 4. მაკინროუ (აშშ) — 602 156, 5. ჯილბერტი (აშშ) — 475 648, 6. ჩანგი (აშშ) — 450 152.

ქალები: 1. გრაფი (გფრ) — 1.228 905 დოლარი, 2. ნავრატილოვა (აშშ) — 818 964, 3. საბატინი (არგენტინა) 489 301, 4. სანჩესი (ესპანეთი) — 477 598, 5. გარისონი (აშშ) — 381 278, 6. სუკოვა (ჩეხოსლოვაკია) — 325 029, 7. ნოვოტნა (ჩეხოსლოვაკია) — 296 896, 8. ევერტი (აშშ) — 231 681 და ა. შ.

### 45 ათასი დოლარი და 1989 ბოთლი ღვინო

ასე ორიგინალურად დააჯილდოვეს ბორდოს საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული, განთქმული ჩეხოსლოვაკიელი ჩოგბურთელი ივან ლენდლი.

საზეიმო ცერემონიალზე, რომელსაც დიდძალი მაყურებელი ესწრებოდა, ლენდლმა ჯერ შეპირებული თანხის ქვითარი მიიღო, შემდეგ კი გამოცხადდა, რომ 1989 ბოთლი შესანიშნავი ბორდოული ღვინითაც ჯილდოვდება.

სხვათა შორის, ცნობილია, რომ ლენდლი საერთოდ არ ეკარება მაგარ სასმელებს.

# ხვალ იტალიაში

**კალათბურთის** მოყვარულთა დიდ ინტერესს იწვევს ფირმა „მაკდონალდის“ მიერ გამართული ღია საერთაშორისო ტურნირი კალათბურთში ამერიკელ პროფესიონალ სპორტსმენთა მონაწილეობით, რომელიც ხვალ აიღებს სტარტს. ამჯერად პროფესიონალთა ღირსებას დაიცავს შუა დასავლეთის დივიზიონის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი „დენვერ ნაგითსი“, ძველი სამყაროს წარმომადგენლები იქნებიან: იტალიის ჩემპიონი „ფილიპსი“, იუგოსლავიის ჩემპიონი „იუგოპლასტიკა“ და ესპანეთის ჩემპიონი „ბარსელონა“.

„დენვერ ნაგითსი“, რასაკვირველია, კალათბურთის ეროვნული ასოციაციის გრანდებს არ განეკუთვნება, თუმცა გუნდის საშუალო დონე საკმაოდ მაღალია, 1988-89 წლის ჩემპიონატში დენვერი „პლეი-ოფის“ სერიის მატჩებში გამოდიოდა. ჟურნალ „ჰიუპისადმი“ მიცემულ ინტერვიუში დენვერელთა მწვრთნელი დუგ მოე ასე მსჯელობს: „ტკბილი იქნებოდა ბროლის ბურთის მოგება (ლაპარაკია შუა დასავლეთის დივიზიონის ჩემპიონობაზე — მ. კ. ა. მ.) არა და ამის შანსი გვქონდა კელვინ ნათს ტრამვა რომ არ მიეღო, ასე რომ, სეზონებს შორის შესვენების დროს გუნდის შემადგენლობის საფუძვლიანი გადახალისება დაგვჭირდა. სპეციალისტთა უმრავლესობა ბაზარში გაქცევას და კარგი შევსების შეძენას გვირჩევს, პირადად მე კი ვიმედოვნებ, რომ გამოჯანმრთელებული ნათით და კელვინ კუპერით (იმ დონეზე თუ ითამაშა ორიოდე სეზონის წინ რომ იყო), თუ ცოტათი იღბალმაც გაგვიჭრა ისევ შეგვიძლია განვაცხადოთ პრეტენზია შუა დასავლეთის დივიზიონის ჩემპიონობაზე, როგორც ეს იყო 1985 წელს, როდესაც დივიზიონის პირველობა მოვიპოვეთ“.

მათი კარგი სპორტული ფორმა საშუალებას მოგვცემს მეორე ნომერ ალექს ენგლიშს უფრო მეტი დასვენების საშუალება მივცეთ“.

„დენვერ ნაგითსის“ მეორე ნომერი უდავოდ, ყველაზე უფრო კოლორიტული ფიგურაა გუნდში. მას ნბა-ს ვარსკვლავთა რიცხვს მიაკუთვნებენ. იგი, უპირველეს ყოვლისა, გამოირჩევა თავისი დიდი გამოცდილებით და მაღალი ტექნიკით. ენგლიში ნბა-ში 1976 წლიდანაა. არაერთგზის ყოფილა დასახელებული „ოლ-სტარზის“ შემადგენლობაში და ხშირად მონაწილეობდა აღმოსავლეთის და დასავლეთის ვარსკვლავთა პრესტიჟულ შეხვედრებში. როგორც ამერიკული ჟურნალი აღნიშნავს, „ალექს ენგლიში პირდაპირ გაჭირვების ტალკვესია, როცა გუნდს ქულა ჰირდება“.

ენგლიშის შემდეგ გუნდში ყველაზე უფრო პოპულარული ფიგურა მეთორმეტე ნომერი ლაფაეტ (ფატ) ლევერია. აი, რას ამბობენ ამერიკელი მიმომხილველები მასზე: „ლევერისაგან კი, რა თქმა უნდა, ველით კიდევ ერთი ისეთი სეზონის განმეორებას, როგორიც მას შარშან ჰქონდა. პროფესიულ ლიგაში გატარებული ხუთი სეზონის განმავლობაში ლევერის ყველა მომდევნო სეზონი წინას სჯობდა, თანაც იგი იმ ტიპის მოთამაშეა, რომელიც ზოგჯერ იმაზე მეტსაც აკეთებს, რასაც მისგან მოითხოვენ“.

„მომავალ სეზონში „ნაგითსისაგან“ ბევრს არაფერს მოელიან გულშემატკივრები და მიმომხილველები. ეს შეიძლება ერთგვარად კარგიც კი იყოს, მითუმეტეს, რომ მწვრთნელები და მოთამაშეები ამ უიმედობას არ იზიარებენ. ჩვენი ბიჭები საკმაოდ ამაყები არიან და სურთ ახალ სეზონში გამოიჩინონ თავი, თუმცა ამის თქმა უფრო ადვილია. შუა დასავლეთის დივიზიონს ბოლო ხუთ სეზონში ხუთი სხვადასხვა გამარჯვებული ჰყავდა და წელს ხუთივე უფრო უკეთეს ფორმაშია ვიდრე ოდესმე. ვნახოთ, რას მოგვიტანს ახალი სეზონი.

ბოლო წლებში სპლიტის „იუგოპლასტიკა“ იუგოსლავიის კალათბურთის ლიდერის როლში გვევლინება. მან ორჯერ ზედიზედ 1988 და 1989 წელს მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის წოდება და, რაც მთავარია, წელს დაეუფლა ჩემპიონთა თასს. ორჯერ 1976 და 1977 წლებში ფლობდა რ. კორაჩის თასს. 1988 წელს მოიგო იუგოსლავიის თასი. გუნდის წამყვანი კალათბურთელებია: ტონი კუკოჩი, დინო რაჯა, დუშან ივანოვიჩი, ველიმირ პერაზოვიჩი.

მილანის კლუბ „ფილიპსს“ მოგებული აქვს სამოყვარულო კალათბურთის ყველა პრესტიჟული ტურნირი — ჩემპიონთა თასი (1966 და 1987), თასის მფლობელთა თასი (1971, 1972, 1976), რ. კორაჩის თასი (1985), საკონტინენტთაშორისო თასი (ადრე ეს გუნდი „სიმენტალის“ და „ჩინზანოს“ სახელით გამოდიდოდა). მილანელთა მთავარი ძალაა ვეტერანთა სამეული: მაიკლ დანტონი, დინო მენეგინი, ბობი მაკადუ. კანტუს გუნდიდან მილანში გადავიდა იტალიის ერთ-ერთი უძლიერესი სნაიპერი ანტონელიო რივა.

ესპანეთის მრავალგზის ჩემპიონი „ბარსელონა“ ფლობდა რ. კორაჩის თასს და თასის მფლობელთა თასს. გუნდის უძლიერესი მოთამაშეებია: იგნასიო სალასაბალი, ხუან ანტონიო სან-ეპიფანიო, ანდრე ჰიმენესი, ფერნანდო მარტინესი, სვენ ტრუმბო, ამერიკელი ნორისი.

პირველ ტურში ერთმანეთს შეხვდებიან „დენვერ ნაგითსი“ და „ბარსელონა“, „ფილიპსი“ და „იუგოპლასტიკა“. მათ შორის გამარჯვებული ითამაშებს მატჩს პირველი ადგილისათვის.

**მერაბ კალანდაძე,**
**ავთანდილ მაღრაძე.**

**სპორტპროგნოზი**

**ევროპის საფეხბურთო ტურნირების მეორე ტურის საპასუხო მატჩებზე შედგენილი სპეციალური ტირაჟის პროგრამა (1 ნოემბერი)**

**ჩემპიონთა თასი**

**მერვედფინალი**

1. „ტიროლი“ (ავსტრია) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი)
2. „რეალი“ (მადრიდი, ესპანეთი) — „მილანი“ (იტალია)
3. „ბენფიკა“ (პორტუგალია) — „ჰონვედი“ (უნგრეთი)
4. „ეინდჰოვენი“ (ჰოლანდია) — „სტიაუა“ (რუმინეთი)

**თასების მფლობელთა თასი**

**მერვედფინალი**

5. „გრასჰოპერსი“ (შვეიცარია) — „ტორპედო“ (მოსკოვი)
6. „ბარსელონა“ (ესპანეთი) — „ანდერლეჰტი“ (ბელგია)
7. „სამპდორია“ (იტალია) — „ბორუსია“ (დორტმუნდი, გფრ)

**უეფა-ს თასი**

**მეთექვსმეტედფინალი**

8. „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „კიოლნი“ (გფრ)
9. „ბანიკი“ (ჩეხოსლოვაკია) — „დინამო“ (კიევი)
10. „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) — „ცრვენა ზვეზდა“ (იუგოსლავია)
11. „შტუტგარტი“ (გფრ) — „ზენიტი“ (ლენინგრადი)
12. „ვალენსია“ (ესპანეთი) — „პორტო“ (პორტუგალია)
13. „ჰამბურგი“ (გფრ) — „სარაგოსა“ (ესპანეთი)

**შენიშვნები:** 1. მხედველობაში მიიღება თამაშის ძირითად დროში ნაჩვენები შედეგები;

2. ტირაჟის ნომრის მიმანიშნებელ უჯრედში უნდა ჩაიწეროს „Ф 2“.

3. სპეცტირაჟისთვის შევსებული ბილეთები მიიღება 44-ე ტირაჟისთვის შევსებული ბილეთების მიღების ვადებში.

**„სპორტპროგნოზი“, 44-ე ტირაჟის პროგრამა (27-28 ოქტომბერი)**

| სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (უმაღლესი ლიგა) | | პროგნოზი | | |
|---|---|---|---|---|
| 1. „დინამო“ (მოსკოვი) — „როტორი“ (ვოლგოგრადი) | 27.X | 70 | 20 | 10 |
| 2. „პამირი“ (დუშანბე) — „მეტალისტი“ (ხარკოვი) | 27.X | 70 | 20 | 10 |
| 3. „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — „ტორპედო“ (მოსკოვი) | 27.X | 50 | 40 | 10 |
| 4. „ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 27.X | 30 | 60 | 10 |
| 5. „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „შახტიორი“ (დონეცკი) | 27.X | 60 | 30 | 10 |
| 6. „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 27.X | 20 | 50 | 30 |
| 7. „დინამო“ (კიევი) — „დინამო“ (თბილისი) | 27.X | 70 | 20 | 10 |
| 8. „დინამო“ (მინსკი) — „არარატი“ (ერევანი) | 27.X | 40 | 50 | 10 |
| სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (პირველი ლიგა) | | | | |
| 9. „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „კუზბასი“ (კემეროვო) | 28.X | 50 | 40 | 10 |
| 10. ასკ (როსტოვი) — ცსკა | 28.X | 20 | 50 | 30 |
| 11. „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „როსტსელმაში“ (როსტოვი) | 28.X | 50 | 40 | 10 |
| 12. „ნეფთჩი“ (ბაქო) — „ფაკელი“ (ვორონეჟი) | 28.X | 50 | 40 | 10 |
| 13. „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — „ტავრია“ (სიმფეროპოლი) | 28.X | 40 | 40 | 20 |

რედაქტორი
თ. ბაჩიჩილაძე.

22 და 23 ოქტომბერს სპორტის სასახლეში ტარდება პოპულარული ჯგუფის „სუპერ მაქსის“ (გფრ) კონცერტები. დასაწყისი 17 და 20 საათზე. ბილეთები იყიდება სპორტის სასახლის სალაროებში.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10 524